<u>განცხადება</u>

სამხრეთ კავკასია: მე-19 მუხლი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისაკენ

მე-19 მუხლი მიესალმება თბილისში 11-12 თებერვალს გამართულ ეუთოს სამხრეთ კავკასიის მედია კონფერენციის დეკლარაციას. ორგანიზაცია მხარს უჭერს დეკლარაციის რეკომენდაციებს და წუხილს გამოთქვამს გამოხატვის თავისუფლების რამდენიმე პრობლემატურ ტენდენციაზე სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. მე-19 მუხლი მოუწოდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, გააორგამონ მცდელობები აღნიშნულ ქვეყნებში გამოხატვის თავისუფლების ხელშესაწყობად და დასაცავად.

მე-19 მუხლი იზიარებს კონფერენციაზე გამოხატულ წუხილს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით სამხრეთ კავკასიის მთელს რეგიონში. მართალია სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ფორმალურად მოქმედებს სათანადო სამართლებრივი დებულებები ინფორმაციის თავისუფლების დასაცავად, მაგრამ მთავრობის მიერ კონტროლირებული ინფორმაცია ძალიან ხშირად დახურულია საზოგადოებისათვის. აღნიშნული ქვეყნების ბევრ საჯარო დაწესებულებაში დადგენილი არ არის ინფორმაციის მოთხოვნების განსახილველი პროცედურები, ნაწილობრივ, ამის მიზეზია გამჭვირვალედ და პასუხისმგებლობით მოქმედებისათვის საჭირო ნების ნაკლებობა.

მართალია, სომხეთში 2003 წელს მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების ამომწურავი კანონი, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს მისი განმახორციელებელი რეგულაციების მიღება. აზერბაიჯანში, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაუნიშნავთ ინფორმაციის ომბუდსმენი 2005 წლის ინფორმაციის თავისუფლების კანონის მოთხოვნის შესაბამისად. მე-19 მუხლის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, ბევრმა საჯარო დაწესებულებამ უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე არასწორი საფუძვლით, კერძოდ იმ საბაბით რომ ინფორმაცია „სახელმწიფო საიდუმლოა“. ზოგიერთმა დაწესებულებამ - როგორიც არის მაგალითად აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია - უარყო ინფორმაციის ფლობის ფაქტი. საქართველოში საჯარო დაწესებულებებს აკრიტიკებენ ინფორმაციის მოთხოვნების განსაკუთრებულად ნელი ტემპით განხილვის გამო და სასამართლოებს - ინფორმაციის თავისუფლების საქმეების ნელი ტემპით განხილვის გამო.

მე-19 მუხლი წუხილს გამოთქვამს გამოხატვის თავისუფლების სხვა სამწუხარო ტენდენციებზეც სამხრეთ კავკასიაში. ძალადობა ჟურნალისტების წინააღმდეგ და მოძალადეთა დაუსჯელობა სერიოზული პრობლემაა აღნიშნულ სამივე ქვეყანაში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ რეგიონში ფართოდ გავრცელებულ

თვითცენზურას. ძალადობისა და ძალადობის მუქარის რამდენიმე შემთხვევა ეფექტურად იქნა გამოძიებული და დასჯილი - მათ შორის 2005 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობა - რომელმაც შიშის კლიმატს დაუდო საფუძველი, კლიმატს, რომელშიც ცოტა თუ ბედავს რისკზე წასვლას საგამოძიებო თუ კრიტიკული ჟურნალისტიკის განსახორციელებლად.

დაუსჯელი რჩება სულ ბოლოს პოლიციის მიერ განხორციელებული თავდასხმები. კერძოდ, *არმენიან თაიმსის* ჟურნალისტ ანი გევორგიანზე, როცა ის მაისში გამართულ პოლიტიკურ დემონსტრაციას აშუქებდა; ივლისში, აზერბაიჯანში, *იენი მუსავათის* ჟურნალისტ ელმინ ბადალოვსა და *მილი იოლის* მთავარ რედაქტორ ანარ გერაილზე, როდესაც ისინი სურათებს იღებდნენ სიუჟეტისათვის; მოკვლის მუქარები საგამოძიებო ჟურნალისტის ვახტანგ კომახიძის წინააღმდეგ, თებერვალში საქართველოში.

სამაუწყებლო მედიაზე სახელმწიფო კონტროლი ასევე წარმოადგენს თავისუფალი სიტყვის დაბრკოლებას სამხრეთ კავკასიაში. ეს განსაკუთრებით კრიტიკული საკითხია არჩევნების პერიოდში, რადგანაც ახალი ამბების მიკერძოებული გაშუქებისა და კანდიდატებისათვის მედიის არათანაბარი ხელმისაწვდომობის შედეგად, ბევრი ამომრჩეველი ეცნობა მხოლოდ მმართველი პარტიის შეხედულებებს და შესაძლებლობა არ აქვს სრულად ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს.

მაგალითად, სომხეთში, სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემის შეჩერება 2008 წლის სექტემბერში, როგორც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ნაწილი, რომელიც შეიძლება 2015 წლამდე გაგრძელდეს, განაგრძობს ახალი მაუწყებლების დაშვების აკრძალვას. აზერბაიჯანში, 2009 წლის იანვარში უცხოელი მაუწყებლების მიერ ეროვნულ სიხშირეებზე მაუწყებლობის აკრძალვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, შემდეგი მაუწყებლები კვლავ ეთერ მიღმა რჩებიან: BBC, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება და ამერიკის ხმა. ამ გადაწყვეტილებით, ახალი ამბების გაშუქების ერთადერთი წყარო წაერთვა აზერბაიჯანის მოსახლეობას. საქართველოში, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიას აკრიტიკებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის ნაკლებობისა და ლიცენზიებისა და მარეგულირებელი ფუნქციების პოლიტიკურად მიკერძოებული გზით განხორციელების გამო.

და ბოლოს, გამოხატვის თავისუფლების სხვა სამართლებრივი ბარიერები კვლავ პრობლემას წარმოადგენს. სომხეთში, მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯისა ცილისწამების დეკრიმინალიზაციის სახით, ტელევიზიისა და რადიოს კანონში ივლისში შესულ ცვლილებებს ნეგატიური ზეგავლენა აქვთ მაუწყებლობის მრავალფეროვნებაზე. აზერბაიჯანში, ცილისწამება კვლავ კრიმინალიზებულია და სისხლისსამართლის სხვა კანონებიც ხშირად გამოიყენება კრიტიკული ხმის

ჩასახშობად. საქართველოში, ქვეყნის საკმაოდ პროგრესული მედია სამართლის კანონის განხორციელება კვლავ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ კანონს აკრიტიკებენ მისი დისკრიმინაციული გზით გამოყენების გამო, რაც ზღუდავს დამოუკიდებელი მედია-საშუალებების მოქმედებას.

მე-19 მუხლი მოუწოდებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს, გამოხატვის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, დაუყოვნებლივი ნაბიჯები გადადგან ამ პრობლემების გადასაჭრელად.